ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7535309

ნომერი: AR11096015

თარიღი : 17.06.2025

გაცემის თარიღი : 30.06.2025

გაცნობის თარიღი : 30.06.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, N 6ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აპოლონ არდაშელია პ/ნ 62001004754
- სოხუმი ტრაფშის ქ. N 46

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 17

ივნისის №AR11096015 განცხადებით მომართა აპოლონ არდაშელიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანებით №01.14.05.008.082 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალპროფილური კლინიკის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 30 ოქტომბრიდან 2025 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საზაფხულო ფართობი 119.4 კვ.მ-ის ნაცვლად უნდა იყოს 107.0 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 303.6 კვ.მ-ის ნაცვლად 861.7 კვ.მ., სასაწყობე ფართობი: 16.6 კვ.მ-ის ნაცვლად 33.2 კვ.მ., პალატების ფართობი 476.3 კვ.მ-ის ნაცვლად 465.8 კვ.მ., საორდინატორო და საოპერაციო ფართობი 306.6 კვ.მ-ის ნაცვლად 796.1 კვ.მ., საერთო ფართობი 1522.3 კვ.მ-ის ნაცვლად 2488.3 კვ.მ.. ასევე, მოთხოვნილია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიდან საოფისე ფართობის (299.8 კვ.მ.) ამოღება და დამხმარე ფართობის (224.5 კვ.მ) დამატება.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების ფართობები, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებიდან ამოღებულ იქნას საოფისე ფართობი (299.8 კვ.მ.). ხოლო, დაემატოს დამხმარე ფართობი: 224.5 კვ.მ. ამასთან, ტექნიკურ ეკონომიკურ მაჩვენებლებში საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს: 107.0 კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად: 861.7 კვ.მ., სასაწყობე ფართობად: 33.2 კვ.მ., პალატების ფართობად: 465.8 კვ.მ., საორდინატორო და საოპერაციო ფართობად: 796.1 კვ.მ., საერთო ფართობად: 2488.3 კვ.მ.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანებით შეთანხმებული გეგმები (გარდა სახურავის გეგმისა) ჩანაცვლდეს, წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2024 წლის 30 ოქტომბრის №7269575 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.